ხაშურის მოამბე

№12 (263) 13 ივლისი, ორშაბათი, 2020 წელი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

7 ივლისს, გაიმართა ხაშურის მუნიცპალიტეტის საკრებულოს სხდომა, კოვიდ 19-ის პანდემიის რეგულაციებიდან გამომდინარე, სხდომის ტრადიციული ადგილმდებარეობა შეიცვალა და ადმინისტრაციული შენობის ნაცვლად, სხდომა სამუსიკო სკოლის დარბაზში ჩატარდა. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი, სხდომაზე, საკრებულოს წევრებმა განიხილეს მიმდინარე აქტუალური საკითხები. სხდომის ბოლოს კი მოუსმინეს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ხელმძღვანელს კონსტანტინე ფრუიძეს, რომელმაც საკრებულოს მიმდინარე წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის შედეგები გააცნო(იხ. მეორე გვერდზე).

ალოობა - 2020 დაიწყო

კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონების შემდეგ, ალოობა – 2020 შიდა ქართლშიც დაიწყო. გომის, ფლევის, ალის და ოსიაურის ადმინისტრაციული ერთეულების სოფლებში უკვე მიმდინარეობს შერჩევითი აღება. როგორც ჩვენთან

საუბარში სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა ჯემალ გელაშვილმა განაცხადა, მარცვლეულის მასიური აღება 20 ივლისიდან დაიწყება. დღეისათვის კი მუნიციპალიტეტში 4 კომბაინია, რომელსაც უახლოეს დღეებში კიდევ სამი დაემატება. მასიური აღების პერიოდში კი კიდევ 9 კომბაინი ჩაერთვება ალოობაში. წინასწარი მონაცემებით, მოსავლის კარგი პირი უჩანს. საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე, ხორბლის შემთხვევაში, 3 ტონას გადააჭარბებს, ქერის კი-2,5 ტონას. რაც შეეხება დათესილ ფართობებს, შარშანდელთან შედარებით, წელს 350-400 ჰექტრით მეტია დათესილი. მთლიანობაში კი, ასეთი სურათია: ხორბალი-1560 ჰექტარი, ქერი-300 ჰექტარი და შვრია (სამარცვლე) -550 ჰექტარი

სასოფლო-სამეურნეო მიწის თანამესაკუთრეთათვის აგრობარათების მიღება გამარტივდა!

სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში, აგრობარათების მისაღებად, საკმარისია ერთ-ერთი თანამესაკუთრის მიერ, სხვა თანამესაკუთრეებისგან მიღებული წერილობითი თანხმობის წარმოდგენა.

თანხმობის შინაარსისა და ხელმოწერის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია დოკუმენტის წარმდგენი თანამესაკუთრე.

ბარათების მიღება შესაძლებელია ნოტარიულად დამოწმებული თანხმობის, ან ყველა თანამესაკუთრის გამოცხადების შემთხვევებშიც.

აგრობარათების მისაღებად, ფერმერებმა, ბანკში მისვლამდე, პროგრამაში მონაწილეობისა და დარიცხული ქულების შესახებ ინფორმაცია ვებპორტალზე - myliberty.ge უნდა გადაამოწონ; ბანკში ვიზიტის დროს, თან უნდა იქონიონ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

→ www.arda.gov.ge

ჩორჩანაში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა მიმდინარეობს

ხაშურის მუნიციპალიტეტში, საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელ ჩორჩანაში, რეგიონებში განსახორციელებელი ფონდის თანადაფინანსებით, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა მიმდინარეობს. სამუშაოები შიდა ქართლის რწმუნებულმა გიორგი ხოჯევანიშვილმა, რწმუნებულის პირველმა მოადგილემ სიმონ გულედანმა და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა დაათვალიერეს. ამჟამად სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს, რომლის დასრულების შემდეგაც დაიწყება ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა. პროექტი მიმდინარე წლის ზაფხულში დასრულდება და ადგილობრივები გაუმჯობესებული საგზაო ინფრასტრუქტურით შეძლებენ

სარგებლობას.

„მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება ჩორჩანაში, მოსახლეობას, რომელსაც წლების განმავლობაში აწუხებდა გზის პრობლემა, მალე ადგილობრივები ახალი გზით ისარგებლებენ." - აღიშნა რწმუნებულმა.

სურამში, მშვიდობის ქუჩის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

სურამში მშვიდობის ქუჩის რეაბილიტაცია ინტენსიურ რეჟიმში ხორციელდება.. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ასფალტის საფარის დაგება.

სამუშაოებს ადგილზე გაეცნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გურასპაშვილი და მერის მოადგილე ზურაბ როსებაშვილი. მათი განმარტებით, აღნიშნული ინფრასტრუქტურული სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტისა და რეგიონული განვითარების ფონდის თანადაფინანსებით ხორციელდება და ჯამში 1296 939 ლარს შეადგენს.

პროექტის ფარგლებში, ასფალტის საფარის დაგებასთან ერთად, გათვალისწინებულია ტროტუარებისა და სანიაღვრე არხების მოწყობა.

მშვიდობის ქუჩის მოწყობა, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ადგილობრივი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობებს და ტურისტულ ინფრასტრუქტურას.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის მიერ 2020 წლის პირველ ნახევარში გაწეული მუშაობის ანგარიში

კულტურის ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში გაიმართა

შემდეგი ღონისძიებები:

31 დეკემბერს, ახალი წლის დადგომასთან დაკავშირებით, გაიმართა სადღესასწაულო კონცერტი ქალაქის ცენტრში - ღია ცისქვეშ, მოწვეული და ადგილობრივი მომღერლების მონაწილეობით.

ახალი წლის ღონისძიებების ფარგლებში, საახალწლო ტაბილეული და საჩუქრები გადაეცათ, მცირე საოჯახო ტიპის სახლის ბენეფიციარებს, შშმ პირთა ბავშვთა მოვლის ცენტრებს და საზღვრისპირას მცხოვრებ დაწყებითი კლასის და ალტერნატიული საბავშო ბაღის აღსაზრდელებს.

ქრისტეშობის დღესასწაულთან დაკავშირებით, ტრადიციულად მოეწყო ალილოს ღონისძიება-მსვლელობა. მსვლელობის დასასრულს, გაიმართა მცირე კონცერტი ადგილობრივი შემსრულებლების მონაწილეობით.

შობა - ახალიწლის ღონისძიებების ფარგლებში, ხაშურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრების გაერთიანებასთან არსებულმა თოჯინების თეატრმა, გაამართა პატარებისათვის თიატრალური წარმოდგენები.

14 იანვარს, აღინიშნა საქართველოს სახელმწიფო დროშის დღე, ღონისძიების ფარგლებში, გამოიფინა დროშები დიმიტრი ყიფიანის მოედანზე და მუნიციპალიტეტის შენობაზე.

21 თებერვალს,, ხაშურის მუნიციპალიტეტის დაფინანსებით, 1 საჯარო სკოლაში გაიმართა, პროექტი „უტალონი“, სადაც გამოვლინდა მუნიციპალიტეტის 2020 წლის ეტალონი მოსწავლე, გამარჯვებული გახდა სოფ. ოსიაურის საჯარო სკოლის მოსწავლე - მარიამ მახარაშვილი. პროექტის მონაწილე სამი საუკეთესო შედეგის მფლობელ ბავშვებს მუნიციპალიტეტის მერიისგან გადაეცათ ფასიანი საჩუქრები.

25 თებერვალს, აღინიშნა უკრაინელი პოეტის ლესია უკრაინკას დაბადების საიუბილეო თარიღი. აღნიშნულ ღონისძიებასთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტს სტუმრობდნენ უკრაინის ელჩი, საელჩოსა და დიასპორის წარმომადგენლები, ასევე კულტურული მემკვიდრეობის საგანგებო ხელმძღვანელი და სხვა ოფიციალური პირები. ღონისძიება გაიმართა ლესია უკრაინკას სახელობის №3 საჯარო სკოლაში.

9 მაისს, ფაშიზმზე გამარჯვების დღის აღსანიშნავად, ვეტერანებს მერიისაგან გადაეცათ სასურსათე პაკეტები. კორონავირუსთან დაკავშირებული შეზღუდვებიდან გამომდინარე, 9 მაისის მემორიალთა საზეიმო ღონისძიება არ გამართულა.

კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის და ა(ა)იპ ორგანიზაციების წარმომადგენელები, საფინანსო ორგანიზაციებს აქტიურად ეხმარებოდნენ, მომხმარებელთა ნაკადის გაკონტროლებასა და უსაფრთხოების ნორმების დაცვაში.

გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მერიის და შესაბამისი სამსახურების მიერ განხორციელდა და ხორცილდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები: დეზინფექცია ჩაუტარდა მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებულ ყველა საბავშო ბაღს, სპორტულ დარბაზებს, კულტურის სახლს, თოჯინების თეატრს, სამუსიკო სკოლებს, მუზეუმებს, ბიბლიოთეკებს და სხვადასხვა ობიექტებს.

შესრულდა და სრულდება საქართველოს მთავრობისა და სათანადო უწყებების მიერ მიღებული რეკომენდაციები.

სამუზეუმო გაერთიანება

28 იანვარს, ხაშურის მხარემიცოდნეობის მუზეუმში, გაიმართა, ადგილობრივი ხელოვანის, ნატო ჯერმანშვილის პერსონალური გამოფენა. გამოფენის მიმდინარეობისას ჩატარდა ლექციაა-პრეზენტაცია: „ხაშურის სამუზეუმო გაერთიანებაში დაცული ნაქარგობის ნიმუშები“

დიმიტრი ყიფიანის სახლმუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდგომ, მუზეუმი აღიჭურვა სხვადასხვა სახის ინვენტარით, ასევე მომზადებულია საგამოფენო სივცეები, მუზეუმი მზადაა ვიზიტორების მისაღებად. ველოდებთ შესაბამის რეკომენდაციებს გახსნასთან დაკავშირებით.

სამუზეუმო გაერთიანებამ მონაწილეობა მიიღო და წარადგინა საგრანტო განაცხადი USAID-is „ZRDA“ პროგრამით გაოვალისწინებული კონკურსისთვის, ხაშურის მხარემიცოდნეობის მუზეუმის ახალი ფონდსაცავის სტელაჟებისა და ტექნიკური აღჭურვილობისთვის დაფინანსების მოსაპოვებლად.

კულტურული მემკვიდრეობის საგანგებო მიერ, მიმდინარეობს სურამის ციხის არქეოლოგიური სამუშაოები, სამუზეუმო ფონდს აღნიშნული სამუშაოებიდან შეემატა, 2019 წელს, გაწმენდილი სამუშაოების დროს აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა (კერამიკა, მონეტა, დამშაბის ლულის ნაწილები). ახლო მომავალში მუზეუმს შეემატება 2020 წელს ციხეზე გაწმენდილი სამუშაოების შედეგად აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალებიც.

დასრულდა ტურისტული საინფორმაციო ცენტრის მშენებლობა, ველოდებთ შესაბამის რეკომენდაციებს, რათა უახლოეს მომავალში მოვახდინოთ ცენტრის აღჭურვა ინვენტარით და ყველა საჭირო მასალით.

ტურიზმის ეროვნული საგანტრო, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიისა და შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის ინიციატივით 15 იულისს ოგეგმება მუნიციპალიტეტში არსებული კვების ობიექტებისა და სასტუმროების წარმომადგენლების ტრენინგები, რეკომენდაციებთან და სხვა საჭირო მომსახურებებთან დაკავშირებით.

მუზეუმის თანამშრომლები აქტიურად იყვნენ და არიან ჩართული სხვადასხვა ონლაინ ჩართვებში, თემებით - კულტურული მემკვიდრეობა, ტურიზმი ჩვენს მუნიციპალიტეტში და სხვა.საშუზეუმო გაერთიანების თანამშრომლების მიერ განხორციელდა შემდეგი ტიპის სამუშაოები:

სარესტავრაციოდ შერჩეული და თბილისის სამხატვრო აკადემიაში ტრანსპორტირებისთვის მომზადებულია 80 ერთეული არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ხასიათის ექსპონატი.

რესტავირებულია 5 ერთეული დოკუმენტური და 9 ერთეული ფოტო მასალა.

შექმნილია ციფრული ვერსია 274 ერთეულ ექსპონატზე.

საანგარიშო პერიოდში, დაიბეჭდა სერიის „ისტორიული საგვარეულოები ხაშურში“ მე-3 წიგნი (აბაზაძეები). ამ სერიით მომზადებულია გამოსაცემად ხიდირბეგიშვილები. კომპიუტერული ვერსიაა შექმნილი მურვანიშვილების და აბაშიძეების შესახებ.

მომზადებულია ნაშრომები: „თეატრალური ხაშური“. „სურამის წარსულიდან, განათლება და კულტურა)“ ასევე, მომზადებულია მასალები გამოფენისათვის „მეთუნეობა ხაშურის რაიონში“ თავის თანდართული პროგრამით.

საბავშვო ბაღების გართიანება

როგორც თქვენთვის ცნობილია ხაშურის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს - 18 საბავშვო ბაღი (ქალაქად - 8, დაბა სურამში -1 და სოფლად- 9), მათ მომსახურეობას უწევს 338 თანამშრომელი, საბავშვო ბაღებში 2020 წლის 1 იანვრისათვის, რეგისტრირებული იყო 2006 აღსაზრდელი.

საბავშვო ბაღებში მსოფლიოა და ქვეყანაში კორონავირუსის პანდემიის ვითარების გათვალისწინებით, სწავლა შეწყვეტილი იქნა 28 თებერვალს და აღარ განახლებულა, თუმცა, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან შეთანხმების საფუძველზე, არამასფუძვნებები საკვები პროდუქტების გაცემა ერთ ბავშვზე გაანგარიშებული დღიური ნორმის ფარგლებში, მაინც განხორციელდა. აპრილის თვეში 2006 ბავშვზე გაცემული იქნა 47338 ლარის ღირებულების პროდუქტი, მაისის თვეში 57428 ლარის პროდუქტი, ხოლო ივნისის თვისათვის 55055 დარის სასურსათო პროდუქტი.

საბავშვო ბაღის შენობებში, სწავლის შეწყვეტის შემდეგ, შემოტანილი იქნა სადეზინფექციო საშუალებები და მრავალჯერადად მოხდა რეკომენდაციით გათვალისწინებული ღონისძიებების ჩატარება. განათვლის სამინისტროს რეკომენდაციით, აპრილიდან ივნისის ჩათვლით, ყველა მზაობის ჯგუფში მიმდინარეობდა დისტანციური სწავლება. შემლებისდაგვარად ამოიწურა პროგრამით გათვალისწინებული საადმრდელო საკითხები. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მზადება ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით.

კომპლექსური სასპორტო სკოლა

2020 წლის 29 იანვარს, ხაშურის მუნიციპალიტეტის კომპლექსურმა სასპორტო სკოლამ უმასპინძლა საქართველო სუპერლიგის ყველა ვარსკვლავის მატჩს კალათბურთში, ღონისძიებაზე მუნიციპალიტეტს სტუმრობდნენ სხვადასხვა დროის ტიტულოვანი სპორტსმენები და სხვა ცნობილი სახეები. აღსანიშნავია, რომ მსგავსი მასშტაბის ყველა ვარსკვლავის მატჩი წლევანდელ წლამდე მხოლოდ თბილისსა და ქუთაისში იყო გამართული.

სასკოლო სპორტული ოლიმპიადის რეგიონული შეჯიბრებისათვის მერიის მიერ ყველა სკოლის გამარჯვებული გუნდი დაფინანსდა ტრანსპორტირებით და გადაეცათ სპორტული ინვენტარი, სამწუხაროდ, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, სასკოლო ოლიმპიადის ნაწილი შეჯიბრებების გადადებულ იქნა სამომავლოდ.

მარტის დასაწყისში, სასპორტო სკოლის ცენტრალურ დარბაზში გაიმართა საქართველოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც მონაწილეობას იღებდნენ სპორტსმენები მთელი საქართველოს მაშტაბით, ასევე დაგეგმილი იყო, რომ მუნიციპალიტეტს უნდა ემასპინძლა საქართველოს პირველობისთვის ბერძნულ- რომაულ და ქართულ ჭიდაობებში, მაგრამ COVID 19 დაკავშირებული შეზღუდვებიდან გამომდინარე, აღნიშნული ღონისძიებები გადადებულ იქნა გაურკვეველი ვადით. მარტის დასაწყისიდან შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ყველანაირი სამწვრთნელო-სააღმრდელო პროცესი შეჩერებულია დღემდე. ველოდებთ შესაბამის რეკომენდაციებს განახლებისათვის.

მიუხედავად შექმნი სიტუაციისა, 2020 წელის იანვარ-თებერვალში, ხაშურის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის სპორტსმენებმა შემდეგ წარმატებებს მიაღწიეს:

ძიუდო - ისრაელი, ქ. თელ-ავივის გრანპრი - ლუკა მაისურაძე (81 კგ) - გრანპრის III პრიზიორი.

მწვრთნელი - ბეგლარ ხარშილაძე.

ძიუდო - ქ. თბილისი, საქართველოს ჩემპიონატი - ლაშა ჩადუნელი (60კგ) – I ადგილი.

მწვრთნელი - ბეგლარ ხარშილაძე.

ქართული ჭიდაობა - ქ. ახმეტა, საქართველოს ჩემპიონატი - გიორგი ქიტაიაშვილი (66კგ.) – I ადგილი.

მწვრთნელი - მალხაზ ნოზაძე.

თავისუფალი ჭიდაობა - ქ. გურჯაანი, საქართველოს ჩემპონატი - ლაშა ლომიძე (44კგ) – I ადგილი.

მწვრთნელი გიორგი კვინიკაძე.

თავისუფალი ჭიდაობა - ქ. გურჯაანი, საქართველოს ჩემპონატი - გიორგი ნოზაძე (62 კგ) – I ადგილი.

მწვრთნელი გიორგი კვინიკაძე.

საბიბლიოთეკო გაერთიანება

ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება მოიცავს ხუთ ბიბლიოთეკას, იანვრისა და თებერვლის თვეში ყველი ბიბლიოთეკაში აქტიურად მიმდინარეობდა სხვადასხვა მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეთა საიუბილეო თარიღების, წიგნის პრეზენტაციების და ყველა იმ მომსახურეობის გაწევა, რაც ამ ეტაპზე აქვს ჩვენს ბიბლიოთეკებს.

ვირუსით გამოწვეული შეზღუდვებიდან გამომდინარე, საბიბლიოთეკო გაერთიანება მარტის თვიდან გადასულია დისტანციურ მუშაობაზე, შაბამისად, შესაძლებლობის ფარგლებში, ყველა მომსახურეობას საბიბლიოთეკო გაერთიანება ონლაინ რეჟიმში უზრუნველყოფს.

ონლაინ რეჟიმში ფუნქციონირებს მკითხველთა კლუბი, ტარდება ტრენინგები, მკითხველებს ონლაინ რეჟიმში შესაძლებლობა აქვთ ესაუბრონ სხვადასხვა მწერლებსა და წარმატებულ პიროვნებებს.

ხდება საბიბლიოთეკო გაერთიანებაში დაცული ციფრული ფოტო-კოლექციის გასაჯაროება სოციალურ ქსელში. გაიმართა ფეისბუქ-ვიქტორინა სხვადასხვა მიმართულებით.

მკითხველისთვის შეთავაზებულ იქნა მოთხოვნადი წიგნების ელექტრონული ვერსიები.

(დასასრული III გვერდზე)

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის მიერ 2020 წლის პირველ ნახევარში გაწეული მუშაობის ანგარიში

ტარდება სხვადასხვა მიმართულების ვიდეო მასტერკლასები.

საბიბლიოთეკო გაერთიანების ფეისბუქ გვერდზე ქვეყნდება სხვადასხვა საინტერესო სტატიები.

იმართება ვიდეო პრეზენტაციები. ბიბლიოთეკაში ფუნქციონირებს ინგლისური ენის შემსწავლელი კლუბის ონლაინ შეხვედრები.

ამ ეტაპისთვის მომხმარებელზე მიწოდებულია 300 მდე საინფორმაციო პოსტი.

გაიმართა 60-მდე ვიდეო ჩართვა და ონლაინ კლუბის შეხვედრები, საერთო ჯამში ონლაინ მომსახურეობით ისარგებლა ცამეტი ათასმა მომხმარებელმა.

მთავრობის შესაბამის რეკომენდაციების მიღების შემდგომ, ყველა შეხვედრა დაწესებულება და მათ შორის საბიბლიოთეკო გაერთიანება დაუბრუნდა ჩვეულ რეჟიმს.

სამუსიკო სკოლების გაერთიანება

ამ ეტაპისთვის, ხაშურის სამუსიკო სკოლაში ირიცხება 490 აღსაზრდელი, სასწავლო პროცესი შეწყდა მარტის დასაწყისიდან შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მიუხედავად ამისა, სასწავლო პროცესი, შესაძლებლობების ფარგლებში გაგრძელდა ონლაინ კაკეფთილებით. ამ ეტაპისთვის მიმდინარობს მზადება ახალი სასწავლო წლის განახლებისათვის, შესაბამისი რეკომენდაციების დაცვის გათვალისწინებით.

გაზეთი „ხაშურის მოამბე“

გაზეთი „ხაშურის მოამბე“ - წლის განმავლობაში განსაზღვრულია 50 ნომრის გამოცემა, ასევე 12 ნომერი გამოიცემა „ლიტერატურული ხაშური“- ს ჩანართით. ტირაჟის რაოდენობა შედგენს 700 ცალს, აქედან 500 ეგზემპლარი ვრცელდება ხელმომწერებზე, ხოლო დანარჩენი რაოდენობა უსასყიდლოდ გადაეცემათ იმუნებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურ ჩასახლებებს და სოფლის რწმუნებულებს, მათ ტერიტორიაზე გასავრცელებლად.

დღეის მდგომარეობით, დაბეჭდილი და გამოცემულია გაზეთ „ხაშურის მოამბის“ 11 ნომერი და „ლიტერატურული ხაშური“ - ს 3 ნომერი.

შეგახსენებთ, რომ კორონავირუსის გავრცელების გამო, გაზეთის გამოცემა დრობით შეწყდა ივნისის თვემდე. ამჟამად გაზეთის ფუნქციონირება აღდგენილია და ჩვეული რეჟიმით გამოიცემა.

კ. ფრუიძე,
ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა
და სპორტის სამსახურის ხელმძღვანელი

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2019 წ. №41,42,44,45,46,47. 2020 წ. №2,3,4,5,6,7,8,9,11)

ხაშურის მუნიციპალიტეტის საფორტიპიკაციო ნაგებობები

დარეჯან დედოფლის წერილიდან კარგად ჩანს ფარნაოზის უკმაყოფილებისა და განდგომის მიზეზი. მან ის ვერ მიიღო, რაც მისმა ძმებმა. ამიტომ იგი ამბოხით ცდილობს, დაიმკვიდროს თავისი „ადგილი“. წერილიდან ისიც ნათელი ხდება, რომ ამ დროს ერეკლე მეფე სერიოზულად ავადმყოფობს და „სნეულების მომატების მიხეზით“ ვერც დარეჯან დედოფალი და ვერც სხვა საქმის ვითარებას არ აცნობს. ამიტომ განდგომილის შემორიგებას მისი ძმები და დედოფალი ცდილობენ. დარეჯანის წერილის მინაწერში ნათქვამია: „ბატონო ამალსახარო ოთარ და ერთობით ქართველთ თავადნო! როგორც მათს უმადლესობას ბატონს დედას ჩვენს ებძანებია, ჩვენ ორნივ ძმანიც ასე გწერთ, რომ სწორეთ ასე აღასრულეთ და ამ ბრძანებას დაეშორჩილეთ“.

მინაწერზე ძმების სახელები არ იკითხება. ერთ-ერთი ძმა. ალბათ, იულონ ბატონისვილი უნდა იყოს, რომელიც 11 დეკემბერს გორში ჩავიდა. იგი 22 დეკემბერს შექმნილი მდგომარეობის შესახებ წერილს წერს დარეჯან დედოფალს, რომელსაც ძმათა შორის შუღლის ჩამოგდებაში გარკვეული წვლილი მიუძღოდა. წერილი მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს ფარნაოზის მიერ გამაგრებული სურამის ციხის მდგომარეობის შესახებ. მასში ვკითხულობთ: „სურამის ციხისა ესრეთ მოხსენდესო: კორინთელი ნინია ციხის თავად დააყენეს, თავიხი ცოლ–შვილიც იქ მიჰგვარეს, ორი თავიხი კაცი ჰყავს ამ ნინიას და სამი სხვა იმერელი და სამიც მანაველი კაცი და ერთი სურამელი, კაკალაშვილი ბერი, რომელიც რომ უწინვე სურამის ციხეში იყო ციხის თავად დაყენებული მისი უმადლესობის მეფისაგან. ეს ათნი ახლა სურამის ციხეში დგანან ციხის მცველად და ასე დაიფიცეს, რომ ვინც უნდა მოვიდეს, ციხე არავის უნდა მისცენ, და ესეც ფიშები ჩაიტანეს, რომ მარტო ფარნაოზ რომ მოვიდეს, თუ ელიზბარ თან არ მიჰყვეს, ისიც არ შეუშვან. ციხეში შემსვლელ–გამომსვლელი ეს ქვემოთ აღწერილნი ოთხნი კაცნი არიან: ბებიაშვილი მდგელი გიორგი, ტერ–მიქელა, მამახასლისი გაბრიელი და ბერელაშვილი გაბრიელი. ამ ოთხს კაცს გარდა, სურამელი კაცი ვერცა ვინ შევა ციხეში და ვერცა ვინ გამოვა. ციხეში მრავალი პური და ღვინო, შეშა, ტყვია–წამალი და სხვა, რაც შეძლეს, სახმარი ნივთი შეიტანეს და გააწყვეს. რკინაც მიიტანეს ციხის კარის მოსაჭედათ, და რაოდენ იმათგან შეიძლება, დიდად ცდილობენ გამაგრებას“.

აღნიშნული დოკუმენტიდან ჩანს, რომ გორში ჩასულმა იულონმა წერილი მიწერა ფარნაოზს, რათა იგი გორში ჩასულიყო მასთან მოსალაპარაკებლად. ფარნაოზი გორში ჩასულა. იულონს წინამძღვარი გამალიელი, მდივანი სულხანი და თავისი კარის მდგელი იოანე ქართველიშვილი მოციქულად მიუგზავნია ფარნაოზთან და ურჩვია „სურამის ციხეზე ხელის აღება“, თან შეუთვლია და დაუმიდებია: „...რაც შენი წილი გაკლია, რიგიანის საქმით, შეძლებისამებრ, იქ შეგისრულდება ამაოგან (ე.ი. სამეფო კარისაგან–თ.ლ.) და ჩვენი სიტყვა იმათთან არის“.

ფარნაოზს იულონთან „...თავისი თავის სამართლებელი სიტყვები ელაპარაკა და დაასრულეს ასე ეთქვა: „უსიკვდილოდ სურამის ციხეზე ჩემგან ხელის აღება არ იქნებაო“.

ფარნაოზი გორიდან ხიდისთავში გადავიდა, დაეჭვებულმა აქედან იულონს შემოუთვალა: „შვიდის, რვის კაცისაგან გავიგონე... რომ მიხვიდეთ და სურამის ციხეს შემოადგეთ, თუ ეს მართლა თქვენი სიტყვა იყოს, სწორე შემატყობინეთო.“

ამის პასუხად იულონს ფარნაოზისათვის შეუთვლია: „ეგ ჩვენგან არც თქმულა და არც დამტკიცებულა, თუ თქვენ ახლავ მათს სიმაღლეს დედა თქვენს, დედოფალს და თქვენს ძმებს იახლები, ჩვენ ვიცით, რომ რაც შენ წილი გაკლია, რიგიანის საქმით შეძლებისაებრ შეგისრულდება. მიდი და ღმრთით შენი საქმე რიგიანის საქმით იქ დაიყენ და ჩვენ ჩვენს თავად საქმეში არაში შეგალთ, და თუ მათის სიმაღლის, დედოფლისაგან და ჩვენის ძმებისაგან ბძანება მოგვივა რამე, როგორც იმათი ბძანება მოგვივა, ყოველის ჩვენის შეძლებით, იმათის ბძანებისაებრ, საქმის აღსრულებას ვეცდებით“.

როგორც ამ ამონაწერიდან ჩანს, ამ ეტაპზე იულონი ნაკლებად არის გარეული სამეფო კარზე შექმნილ არეულობაში და პირიქით, მზად არის, იმოქმედოს სამეფო კარის ბრძანების შესაბამისად. ჯერ კიდევ ცოცხალია ერეკლე II და სამეფო ტახტზე არ ასულა გიორგი XII. ამავე წერილიდან კარგად ჩანს, რომ სამეფო კარზე საკმაოდ დიდი გავლენა აქვს დარეჯან დედოფალს – ერეკლე მეფის მეუღლეს, განდგომილი ძმების დედას. ამიტომაც მას წერს იულონი წერილს და თავიდან ბოლომდე აცნობს საქმის ვითარებას. იგი დედოფალს მიიჩნევს იმ გარანტად, რომლის მეშვეობითაც მან და მისმა ძმებმა უნდა მიიღონ ის პრივილეგიები, რასაც ერეკლე II უშვებდა თავისი ანდერძით. თუ იგი ამ დროს გამოდის სამეფო კარის ინტერესებიდან და მზად არის მათი (დედოფლისა და ძმების–თ. ლ.) მითითებისაებრ იმოქმედოს განდგომილი ფარნაოზის წინააღმდეგ, შემდეგ როცა მართლაც დგება ასეთი ნაბიჯი გადადგმის აუცილებლობა, არავითარ ღონისძიებაში არ ერთვება და უარს ამბობს, დავთან ბატონიშვილთან ერთად მონაწილეობა მიიღოს სურამის ციხეში გამაგრებული ფარნაოზის მიმართული მოწყობილ სამხედრო ოპერაციაში.

ამავე დოკუმენტიდან ირკვევა, რომ იმდენად სერიოზულადაა მდგომარეობა დაძაბული, რომ იულონი იძულებულია, ფარნაოზის მიერ სურამის ციხეზე ხელის აღების უარის თქმის შემოხვევაში, „ამ საქმეზე ქართველთ“ მოუწოდეს, გორში შეჰყაროს და „ერთობის არზა“ მიართვას დედოფალს. იულონი დედოფალს ურჩევს „ერთობით კახთაც... ამეგარი პირობის წიგნი“ დაიწერინოს და მას გაუგზავნოს, რადგან „ამაზე ქართველნი დიდად იმედგულნი შეიქმნებიან და საქმის სიმტკიცე კიდევ უფრო მეტი“ იქნებაო.

აქვე არ შეიძლება, ყურადღება არ მივაქციოთ ერთ გარემოებასაც. იულონ ბატონიშვილი აცხადებს: „ასე დაექადნათ მირვანოს და ბებურიშვილს: ეს რა არისო, ბევრს თავშეხვეულს თათარს ნახავთ თქვენ აქაო“.

როგორც ვხედავთ, განდგომილებს ოსმალეთთან, ამ შემთხვევაში, ალბათ, ახალციხის საფაშოსთან, სურდათ ურთიერთობის დამყარება და იქიდან აპირებდნენ თათრების სახით დამხმარე ძალის შემოყვანას სურამის ციხეში.

„ამის მთქმელნი სხვას რას დაერიდებიან?“– კითხულობს იულონი და ამ კითხვაში კარგად ჩანს ის შეფასებაც, რასაც იგი აძლევს სურამის ციხეში გამაგრებულთა ნაოქვამს.

ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი წერს: „ხამ თვეს ტრიალებდა ფარნაოზ სურამისა გარშემო და აქა შეიგროებდა ჯარსა და ლეკთაცა მიიწოდებდა ახალციხის მხარეთაგან“.

როგორც ჩანს, იულონის შეშფოთებას რეალური საფუძველი ჰქონდა.

ამიტომ არის, რომ იულონი სერიოზულ ეჭვს გამოთქვამს მარტო ფარნაოზის ხელისელთ ყოფილიყო სურამის ციხე მიტაცებული: „ სურამის ციხე ფარნაოზს არ უჭირავს, ვინც ჩვენის ოჯახის მუხანათი არის და ამ შფოთის ჩამომგდები და საქართველოს მტერი, იმას უჭირავს და იმის ხელთ არის“.

იულონ ბატონიშვილი აანალიზებს რა სურამის ციხის გარშემო შექმნილ მდგომარეობას, დარეჯან დედოფალს ატყობინებს: „ეონების მიხედვით ასე ჩანს, ღთის მოწყალებისაგან, რომ თუ ახლავ არ მივიტანთ, საქმე დიდად გაძნელდება და სახინანლო შეიქნება... ამ საქმეს ახლავ უნდა მიტანება, სანამ უფრო გაძნელდებოდეს, თორემ რაკი გაძნელდება, საქმე გაეაიმდება და გაჭირვებული შეიქნება“. ე.ი. იულონი ფარნაოზის წინააღმდეგ გადაუდებელ მოქმედებას მოითხოვს.

გიორგი XII სამეფო ტახტზე ასალისთანავე იძულებული შეიქნა, დაემშვიდებინა აფორიაქებული ქვეყანა. მან დედოფალი დარეჯანი –ძმათა შორის შფოთის ერთ–ერთი ჩამომგდები, პლატონ იოსელიანის თქმით, სასტიკად გაიფრთხილა: „„ქარა! მოახსენეთ დედოფალსა, დაეწყნარის ღელვა შფოთისა... ნუ გამომეყვანს მოთმინებიდამ, შეიბრალოს ქვეყანა, ქრისტიანობა და ვებრალებოდე მეცა, ვითარცა მეფე და პატრონი ქვეყნისა, რომელსაცა მაქეს ვალი ზრუნვისა და სამართლისა მეფობისა გამო, ზეგარდმო მონიჭებული ზედა“.

დედოფალმა დარეჯანმა ბოდიში მოიხადა, „ვითარცა შეშინებულმან ნამდვილ და ითხოვდა მხოლოდ, რათა შვილთა მისთა და ძმათა თვისთა განუხვენოს და დააკმაყოფილოს სარჩოთი და პატივისცემითა ღირსებითა“.

გიორგი XII დაიბარა თავისი შვილები დავითი და იოანე და უბრძანა, ქართლის ჯარით წასულიყვნენ სურამში, თან კატეგორიული გაფრთხილება მისცა: „...გამაგრებულსა სურამისა ციხეში ფარნაოზს, გამოუცხადეთ, გამოვიდეს და იყოს მორჩილებით, და თუ არა ჰქნას, აიღეთ უთუოდ ციხე, გამოიყვანეთ და დასთხრეთ თვალები“.

1798 წლის თებერვალში დავით ბატონიშვილი გორში ჩავიდა. „მეფის ძე ფარნაოზ შევიდა სურამის ციხეში და გამაგარა. დავითმა დაუწყო მოციქულობა და სურამის ციხის თხოვნა“ .

4 აპრილს დავითმა იულონს შეუთვალა: „სურამის ციხეზე მინდა, მოვიდეან ჯარით გამომყევ შენც თანა, თუ არა და ...შენნაჯდ მოვალო“. იულონმა დავითს „სურამს გაყოლის უარი შემოუთვალა“, შეშინებულმა „ჯარს დაუთხო“ და კუნძითში წავიდა, მაგრამ დავითი იულონზე „ადარ წავიდა“.

20 მაისს დავითი სურამის ციხეს მიადგა. მან დავით ამირეჯიბი შეუგზავნა ციხეში მოციქულად ფარნაოზს. მოლაპარაკების შემდეგ „ფარნაოზ შეშინებული გამოვიდა ციხიდამ და წარვიდა ქსანნჯდ ცოლეულთანა, დავითმა ციხე დაიჭირა და მისი (ფარნაოზის- თ.ლ.) ჯარი დაშალა“ .

ფარნაოზმა პირობა დადო, რომ აღარ მიიღებდა გიორგი XII წინააღმდეგ

(გაგრძელება V გვერდზე)

ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა მცირე ბიზნესის ხელშეწყობისათვის - პროექტი წელსაც წარმატებით ხორციელდება

2015 წლის ივლისიდან, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ ახორციელებს პროექტს „ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივა მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობისათვის, დასავლეთის მიმართულების საქესპორტო ნავთობსადენის მარშრუტის აღმოსავლეთ მონაკვეთზე“, რომელიც ინიცირებული და დაფინანსებულია საქართველოს მილსადენის კომპანიის მიერ და ხორციელდება დასავლეთის მიმართულების საქესპორტო ნავთობსადენის (ბაქო-სუფსა) მარშრუტის გასწვრივ მიმდებარე სოფლებში. პროექტი მიზნად ისახავს ნავთობსადენის გასწვრივ დასახლებულ თემებსა და bp-ის შორის ჰარმონიული ურთიერთობის გაძლიერებას, აქ მცხოვრები ოჯახების კეთილდღეობის გაუმჯობესებას, ეკონომიკურ წინსვლასა და მცირე ბიზნესის განვითარებას.

პროექტი ხორციელდება გარდაბნის, მცხეთის, კასპის, გორის, ქარელის, ხაშურისა და სარსხერის მუნიციპალიტეტებში. ხაშურის მუნიციპალიტეტში პროექტი მიმდინარეობს 13 სამიზნე სოფელში: ვაჟა, დიდი ფლევი, პატარა ფლევი, ნაცარგორა, დუმაცხოვი, ახალუბანი, ქინძათი, მცხეთოჯვარი, ქვემო ბროლოსანი, ზემო ბროლოსანი, კლდისწყარო, ტიტვინისწყარო, ჩორჩანა. სამიზნე სოფლებიდან პროექტში მონაწილეობის მიღება ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, რომელსაც აქვს კარგი ბიზნესიდეა და მისი განსახორციელების შესაძლებლობა.

მიმდინარე წელს, ეპიდემიოლოგიური სიტუაციიდან გამომდინარე, ერთგვარი ფორსმაჟორული მდგომარეობა შეიქმნა. თუმცა, პროექტი არ შეჩერებულა და მან საკმაოდ ბევრ და საინტერესო ბიზნესიდეას დაუჭირა მხარი. პროექტის მენეჯერმა გიორგი თვალიაშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა:

–პროექტის მსვლელობისას მცირე შეფერხება გამოიწვია მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმა - პანდემიამდე ცოტა ხნით ადრე, პროექტს გამოცხადებული ჰქონდა კონკურსი დამწყები მეწარმეებისათვის, შერჩეული იყვნენ კანდიდატები გასაუბრებისათვის, მაგრამ ქვეყანაში განვითარებული მოვლენების გამო, აიკრძალა შეხვედრები და ჩვენი პროექტი გადავიდა დისტანციურ მუშაობაზე. პროექტის თანამშრომლებმა, დისტანციური ტექნოლოგიების გამოყენებით, შეძლეს და სრულფასოვნად ჩაატარეს გასაუბრებები ყველა კონკურსანტთან. გასაუბრების შემდეგ, შეირჩნენ საბოლოო კანდიდატები, რომლებიც პროექტის მე-3 ეტაპზე დაფინანსდნენ. მიმდინარე კონკურსში, ყველა სამიზნე სოფლიდან, სულ შეირჩა 71 ბიზნესგეგმის ავტორი. აღსანიშნავია, რომ შერჩეული კანდიდატებიდან 24 ხაშურის მუნიციპალიტეტის მცხოვრებია. 22-მა უკვე მიიღო დაფინანსება და შეიძინა პროექტით გათვალისწინებული ძირითადი საშუალებები, ხოლო დარჩენილ ორ კონკურსანტთან, მას შემდეგ გაფორმდება ხელშეკრულება, როცა მოაწესრიგებენ შესაბამის დოკუმენტაციას და შეასრულებენ პროექტის თანამომაწილეობის ვალდებულებას. პროექტის გასულ ეტაპებზე ხაშურის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 21 დამწყები მეწარმე, ამ კონკურსზე დაემატება კიდევ 24 ბენეფიციარი, რაც ჯამში ხაშურის მუნიციპალიტეტში 45 დაფინანსებულ მეწარმეს შეადგენს.

რედაქცია დაუკავშირდა პროექტში გამარჯვებულ ბენეფიციარებს, რამდენიმე მათგანი უკვე წარმატებით ახორციელებს თავის საქმიანობას, რამდენიმე კი პროექტის მე-3 ეტაპის გამარჯვებულია და ცოტა ხნის წინ შეუდგა აქტიურ საქმიანობას. ისინი ქმაყოფილებას გამოთქვამენ, რომ ამ პროექტის დახმარებით შესაძლებლობა აქვთ აწყონ საკუთარი ბიზნესი, მიიღონ დამატებითი შემოსავალი და ასარგებლონ სხვებიც. წლევანდელი წელი განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ბიზნესიდეების მრავალფეროვნების თვალსაზრისითაც. სასიხარულოა, რომ განსაკუთრებული აქტიურობით სოფელში მაცხოვრებელი ქალები გამოირჩევიან, რაზეც მათზე გაცემული დაფინანსების რაოდენობაც მეტყველებს.

ნინო ზაქარაშვილი (პროექტის მონაწილე, სოფელი ახალი უბანი)

–ამ პროექტის შესახებ, როგორც ყველამ, მეც სოფელში გავიგე - წინა წელს ჩემმა მეზობლებმა მიიღეს გრანტი, რამაც დამარწმუნა, რომ მეც მქონდა დაფინანსების მიღების შანსი. დიდი ხანია ინკუბატორის გაკეთება მინდოდა, მაგრამ მხოლოდ საკუთარი ფინანსებით ვერ ვახერხებდი. არც ჩვენ სოფელში და არც მიმდებარედ, ინკუბატორი არ იყო, მოთხოვნა კი დიდი იყო. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე და შევაფერე არჩევანი ინკუბატორზე. შევავსე განაცხადი, მოქმონათ ჩემი ბიზნესიდეა და სხვადასხვა პროცედურების გავლის შემდეგ, მივიღე დაფინანსება ინკუბატორის მოსაწყობად. საწყის ეტაპზე გავიარეთ რამდენიმედღიანი ტრენინგი, სადაც ვისწავლეთ პროექტის წერა, თუ როგორ ვაწარმოოთ საკუთარი ბიზნესი და ხარჯთაღრიცხვა, როგორ გავხადოთ ჩვენი საქმე უფრო შემოსავლიანი და ისეთი დეტალები, რომელზეც მანამდე წარმოდგენაც არ გვქონდა. თებერვალში დავწერე პროექტი, და არც ველოდი, რომ, შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის ფონზე, კიდევ გაგრძელდებოდა მუშაობა. თუმცა შევცდი - მაისის ბოლოს უკვე დაგვაფინანსეს და შევუდექით საქმიანობას. ჩვენ გვქონდა გუნერატორი და გამაობობელი ნათურები, დანარჩენი ინვენტარი გრანტის თანხით შევიძინეთ. ინკუბატორი სეზონურია, ცოტა ხნის წინ დავიწყეთ კვერცხის მიღება და წიწილების ჩეკვა - ვეიდელობთ კვერცხს და გამოჩეკილ წიწილებს ვყიდით. ახლა უკვე ვიცი, თუ როგორ განვავითაროთ ეს საქმე. არ შემიძლია მადლიერება არ გამოვხატო იმ შესაძლებლობისათვის, რომელიც bp-ს ინიცირებულმა პროექტმა მომცა. გარდა ფინანსური დახმარებისა, ეს პროექტი იდეური და მორალურ თანადგომასაც გვიცხადებს. ჩვენი მობილიზატორი მუდმივად კავშირზეა ჯა, გარდა მონიტორინგისა, დროის ნებისმიერ მონაკვეთში შეგვიძლია მივიღოთ ნებისმიერი ტიპის დახმარება, რომელიც გვჭირდება.

ჯუმბერ ოდიკაძე (პროექტის მონაწილე, სოფელი კლდისწყარო)

– ამ პროექტის შესახებ ჩვენც სოფელში ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრებიდან გავიგეთ. ვიფიქრეთ, რა შეიძლებოდა გაგვეკეთებინა. რადგან 55 წელია ამ საქმით ვარ დაკავებული, გვაქვს სახარატო ჩარხი და რკინის მინისაამქრო, ახევე, რაკი ტრაქტორის და მანქანების შეკეთების გამოცდილებაც გვქონდა, გადავწყვიტეთ, ამ საქმის გაფართოება. შევავსეთ განაცხადი, გავიარეთ ყველა ნაბიჯი. იმედიანად ვიყავი და მქონდა მოლოდინი, რომ დამაფინანსებდნენ - მოსახლეობას ძალიან უჭირს დახიანებული ტექნიკის ხაშურში გადატანა, ეს ნაწილის შესაკეთებლად წადება. ვიფიქრეთ, თუ ამ ყველაფერს ადგილზე გააკეთებდნენ, მაოვითასაც უფრო მოსახერხებელი და კომფორტული იქნებოდა და ჩვენთვისაც ეს ბიზნესი შემოსავლის წყარო გახდებოდა. სწორედ ეს მაიმედებდა როდესაც პროექტი დავწერეთ. მართლაც, დამაფინანსეს. ჩემი მონაწილეობა სახელოსნოს მოწყობაში საშუალო ინვენტარი იყო, მაქვს ისეთი დაზგა, რომელიც ჩვენ მხარეში არსად არაა. მოკლედ, ამ პროექტმა მომცა შესაძლებლობა, გამეკეთებინა ტექნიკის შემკეთებელი სახელოსნო, სადაც მე და ჩემი შვილი ვმუშაობთ და ამ ეტაპზე ეს ოჯახური სბიზნესია. სამომავლოდ, ბევრ რამეზე ვფიქრობ იდეები და გეგმები მაქვს, გაფართოების შემთხვევაში, ალბათ, მუშახელსაც დავიმატებთ. მადლობელი ვარ, რომ მომცეს შესაძლებლობა, ჩემი საქმე სხვა ადამიანებისთვისაც სასარგებლო გამეხადა.

ქეთევან ნოზაძე (ზემო ბროლოსანი)

–ამ პროექტის სიკეთეებზე ბევრი შემიძლია ვისაუბრო იმაზე, თუ რამდენად საჭირო და მნიშვნელოვანია იმ შესაძლებლობის მიცემა სოფლის მოსახლეობისთვის, რომელსაც bp და „ელკანა“ გვაძლევს. რამდენიმე წელია პროექტში მონაწილეობის მიღების სურვილი მაქვს. გასულ წელს, საოჯახო სამკერვალოს გახსნა გადავწყვიტე, თუმცა თანამედროვე საკერავი მანქანის შეძენა, მისი ღირებულებიდან გამომდინარე, არ იყო ჩემთვის მარტივი. ამიტომ, დავწერე პროექტი გასულ წელს და, ჩემდა მოულოდნელად, დამაფინანსეს კიდეც. გავიარე ტრენინგები და ყველა ის ეტაპი, რაც საჭირო იყო. პროექტის მეშვეობით, შევიძინე საკერავი მანქანა, რომელიც 26 ოპერაციას ასრულებს და ძალიან მიიოლებს საქმეს. ტანსაცმლის კერვა, გადაკეთება, საბ-

(დასასრული V გვერდზე))

(დასასრული))

ნების, ლეიბების, თეთრეულის კერვა - თითქმის ყველაფერს ვკერავ, ძალიან მეხმარება ჩემი შვილი, რომელიც აქტიურადაა ჩართული ამ საქმეში. შესაკერად მოდიან სხვა სოფლებიდანაც. შექმნილ ეპიდემიოლოგიურ სიტუაციას ჩვენთვის ხელი არ შეუშლია, პირიქით, მოსახლეობა ვერ ახერხებდა ქალაქში ჩასვლას და ძალიან ბევრი ადამიანი მოდიოდა შესაკერად. მიმაჩნია, რომ ჩემმა არჩეულმა საქმემ ნამდვილად გაამართლა.

შალვა ჩიწიალაძე (ბროლოსანი)

– პროექტი რამდენიმე წელია ძალიან წარმატებულად მიმდინარეობს ჩვენ სოფელში, ბევრი კმაყოფილი მოსარგებლე ჰყავს, ამიტომაც გადავწყვიტე, მონაწილეობის მიღება. მამაჩემი ცნობილი მჭედელი იყო ამ მხარეში, ბავშვობიდან მის გერდით ვიყავი და ავითვისე ხელობის ყველა საიდუმლო. რკინისგან ყველანაირ ნივთს ვაკეთებ. ამიტომაც გადავწყვიტე, გამეფართოვებინა ჩემი სახელოსნო, რათა ბევრი ადამიანის მომსახურება შემძლებოდა. ამასთან მეზობელ სოფლებში მსგავსი საწარმო თითქმის არაა. ჩემი პროექტი დაფინანსებს, გავიარე ორდღიანი ტრენინგი და შევუდექი საქმიანობას. როდესაც დიდია შეკვეთების რაოდენობა, 15 ადამიანიც კი მყავს დასაქმებული. დამკვეთები ძირითადად, ხაშურის სოფლებიდან არიან, ვაკეთებთ რკინის ფანჯრებს, კარებს, ინვენტარს, ცოტა ხნის წინ ტრაქტორის ოთხი მისაბმელი გავაკეთე. მუშაობისას, ძველ მეთოდებთან ერთად, ახალი ტექნოლოგიებსაც ვიყენებ, რაც პროცესსაც ამარტივებს და ხარისხსაც კარგს იძლევა. სამომავლოდ, ვაპირებ საქმის გაფართოებას.

ირმა მარგველაშვილი (ქვემო ბროლოსანი)

–ძალიან დიდი ხანია აგრომომსახურების ბიზნესიდეა მაქვს. თუმცა, დროის უქონლობის გამო, ვერ მოვახერხე განხორციელება. უფრო ზუსტად რომ ვთქვა, ჩემი იდეა იყო ტრაქტორის შეძენა, რომელიც ბევრ ადამიანს მიწის დამუშავების პრობლემას მოუხსნიდა. ოჯახს გვაქვს მცირე ზომის სახნავი ტრაქტორი, გადავწყვიტეთ, დიდი ტრაქტორის შეძენა, თუმცა, მოგეხსენებათ, სოფლის მოსახლეობისთვის ეს არც ისე იოლია. დავწერე პროექტი და ჩემდა გასახარად, დამაფინანსეს. ორდღიანი ტრენინგი გავიარეთ და უკვე ტრაქტორიც შევიძინეთ. ჩვენი წილობრივი მონაწილეობა სათიბი, საკვალი და გუთანი იყო. უკვე რამდენიმე შეკვეთაც გვქონდა, შემოდგომით ველოდებით უფრო დატვირთვას - კარგი მოლოდინი და გათვლები მაქვს. მადლობელი ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა ჩემი სურვილები რეალობად მექცია და ოჯახისთვისაც დამატებითი შემოსავალი მიმეღო.

პროექტის მე-3 კონკურსი წარმატებით დასრულდა, კიდევ ბევრ ადამიანს მიეცა შესაძლებლობა გამხდარიყო იმ სიკეთის ნაწილი, რომელსაც bp, სამიზნე სოფლებში, „ელკანასთან“ ერთად ახორციელებს და რომლის მიზანიც ეკონომიკურად ძლიერი მოსახლეობაა.

თ. ჯავახიშვილი

ხაშურის მუნიციპალიტეტის საფორტიპიკაციო ნაგებობები

(გაგრძელება)

შეთქმულებაში მონაწილეობას და თბილისში ჩავიდა მასთან.

პლატონ იოსელიანის ცნობით, მას უნახავს „...მცირე ოქმი, სურამს ნაბოძები ფარნაოზისაგან, სადაც იწოდებოდა ბეჭედითა სმულითა“ მეფე ფარნაოზ“ და სხვა ბეჭედი შემდეგითა წარწერით“ დედოფალი ანნა“.

ე.ი. ფარნაოზი, მართლაც, სერიოზულად ფიქრობდა გამეფებაზე, რაც კარგად ჩანს მოტანილი ცნობიდან.

როცა შემდგომში, 1844 წელს, სანკტ-პეტერბურგში პლატონ იოსელიანმა ბეჭედის შესახებ შეახსენა ფარნაოზს, მან ნიცილით უპასუხა: „ჩემი პლატონ, დროება მრავალსა რასმე აქმნევნებს კაცსა“.

გიორგი XII სურამი დავით ბატონიშვილს უბოძა. ამის თაობაზე 1802 წლის 19 მაისს დავით ბატონიშვილი წერს: „ოდეს მამასა ჩემსა უკუუყენეს და გაუმაგრეს ციხე სურამისა და კეხვისა, მაშინ ბრძანებაი მამისა ჩემისა სრულჰყოვე და ვემსახურე მამულსა და აღვიღე ორივე ციხე. ამად მამასან ჩემმან მიბოძა საჯილდოდ სურამი და ქეფინის - ხევი, ვითარცა არს ჩვეულება ქართველთაი, რომელი ვინცა იქმნეს საქმესა სახელოვანსა ნიჭებულსყოფდენ მას მამულითა ჯილდოდ სამსახურისათვის და სურამი აქამომდე მემსახურებოდა და აწ ორი თვე არის, რომელ იწყეს ურჩებად პირისპირ ჩემსა და ვთხოვ რომელ ებრძანოს მუშაკთა მათ ესე ვითარისა კადნიერებისა არა ქმნად“.

* * *

XIX საუკუნის დასაწყისში სურამი მოიხსენიება რუსულ საისტორიო წყაროებსა და დოკუმენტებში, როგორც ციხე-ქალაქი. გენერალ-მაიორ ლაზარევის მიერ კონრინგისათვის 1801 წლის 24 იანვარს გაგზავნილ მოხსენებით ბარათში აღნიშნულია, რომ ქართლის სამეფოს დასავლეთით არის ციხე-ქალაქი სურამი.

რუსეთის მიერ საქართველოს შეერთების შემდეგ სურამის ციხეში რუსეთის ჯარის ნაწილები ჩადგა. ამ დროს სურამის ციხე წარმოადგენს ყოფილი ქართლ-კახეთის სამეფოს დასავლეთის საზღვარზე ერთადერთ მნიშვნელოვან ციხე-სიმაგრეს და დასაყრდენს რუსეთისათვის. დამოუკიდებლობას ჯერ კიდევ ინარჩუნებს იმერეთის სამეფო, ცალკეა ახალციხის საფაშო. ამიტომ იყო, რომ სურამის ციხეს გარკვეულ დრომდე, კერძოდ, სანამ რუსეთი იმერეთის სამეფოს (1810 წ.) და ახალციხის მხარეს (1829 წ.) შემოერთებდა, კვლავ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. იმერეთთან და ახალციხესთან რუსეთის ურთიერთობის დროს ყოველთვის ყურადღების ცენტრში იყო. ციხეში მდგომი რუსეთის ჯარის ნაწილები აქედან ახორციელებდნენ სამხედრო ოპერაციებს იმერეთის სამეფოსა და ახალციხის საფაშოსაკენ. იგი რუსეთისათვის ზურგის საიმედო სამხედრო ბაზა იყო.

გენერალ კონრინგის 1801 წლის 28 ივლისის მოხსენებითი ბარათიდან ირკვევა, რომ საქართველოს მთელ რიგ სასაზღვრო ციხეებში გახსნილია საკარანტინო პუნქტები. როგორც იმერეთის სამეფოს საზღვარზე მდებარე ციხეში, ასეთივე საკარანტინო პუნქტი გახსნილია სურამის ციხეში. ცოტა მოგვიანებით მთავარმართებელ ციციანოვის მიერ აქვე გაიხსნა საბაჟოც.

სურამის ციხეს, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთისათვის უკვე დაპყრობილი ქართლ-კახეთის სამეფოს შემომტკიცებისათვის, რადგან სამეფო კარის წარმომადგენლები ყოველთვის ცდილობდნენ სამეფო ხელისუფლების აღდგენას.

ამას, უპირველესად, ცდილობდა დავთ ბატონიშვილი, გიორგი XII შვილი, ტახტის მემკვიდრე. როგორც ჩანს, მას ზემო ქართლის თავად-აზნაურობაც უთანაგრძნობდა, გათვალისწინებული იყო სურამის ციხის დაკავებაც, მაგრამ ეს არ მოხერხდა. სურამში ხალხიც კი შეიკრიბა, მაგრამ ეს იმდენად უმნიშვნელო იყო, რომ რაიმე სერიოზულ გამოსვლაში არ გადაზრდილა.

1805 წელს, როცა მთავარმართებელი ციციანოვი ერევანში იყო, იმერეთში გადასული იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილებს ქართლის დიდებულებმა მოუწოდეს, „რათა მოვიდნენ ქართლსა და ეპატრონნენ“.

იულონი და ფარნაოზი სურამის სიახლოვეს მოვიდნენ. მათ ეგონათ აქ ქართლის დიდებულებიც მოვიდოდნენ, მაგრამ არავინ მოვიდა. ისინი ქართლში არავინ მიიღო და იძულებულნი გახდნენ, ისევ იმერეთს გადასულიყვნენ და „ულვეოს უწერშია დადგნენ“.

ეს ამბავი „სცენეს რუსთა მდგომთა სურამსა შინა“, ავიდნენ ეწერში და დაესხნენ თავს მათ. აქ იულონ ბატონიშვილი დაატყვევეს და თბილისში ჩაიყვანეს (.

ამავე პერიოდში სურამის ციხე მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ახალციხის მხრიდან ლეკთა თავდასხმების ალაგმვის საქმეში.

ახალციხის მხარის შემოერთებამდე ორი ათეული წელი კვლავ გრძელდებოდა ლეკთა თავდასხმები, კვლავ ადგილი ჰქონდა მოსახლეობის გატაცების ფაქტებს და სხვა. ქეიშხეთელ აბაშიძეთა რძლის - სალომე წერეთლის მიერ გორის მაზრის კაპიტან - ისპრავნიკის კითხვებზე შედგენილ პასუხებში ნათქვამია: „...ჩ.ჯ (1808) წელსა სოფლისა ცხრაშუხიდან ყმანი ჩვენნი მამაკაცისა და დედაკაცისა სულ წარტაცებულ არს ტყვედ მტაცებელთაგან ლეკთაგან ორმოცდაცამეტი. ჩეთ (1809) წელსა ორი და ამის შემდგომად აგრეთვე სავახანოს სოფლებიდან, რომელ არს მხვედრი ჩვენი, იქნების ამ ადგილებიდან ორასიეე სული ტყვედ წაყვანილი ვიდრე ახორმაცდაათამდე (ლეკთაგან).

კვლავ უნუგეშოდ რჩებოდა ლეკთა მიერ მანამდე განადგურებული სოფლების აღდგენა-მოშენება, აქედან გაქცეული და სხვაგან გადახვეწილი მოსახლეობის უკან დაბრუნება. ამის მაგალითია თუნდაც 1785 წელს ლეკების მიერ ვახანის ციხის აღების შემდეგ შექმნილი მდგომარეობა. იმდენად მძიმე აღმოჩნდა ხაბაშეოსათვის ვახანის ციხის განადგურება, რომ შედეგები XIX საუკუნის დასაწყისშიც არ ყოფილა აღმოფხვრილი. 1801 წლის 23 აპრილს ხელისუფალება კახეთის მინაბაშს ავალებდა: „მინაბაშო მოურავისშვილო აბეელ! მერე სალაროს ნაზირის აბაშიძე ეეგენის ყმანი ვინცავინ საგარეჯოს, ენაფაურს და სხვაგან შენის მამის სახელოში იდგენენ, ახლავ აუყარე და მოაბარე“.

1803 წლის 16 მარტს ეეგენი აბაშიძე საქართველოს მთავარმართებელს პავლე ციციანოვს აღნიშნულ საკითხზე კვლავ მიმართავდა: „ავის დროს მიზეზით, როდესაც ჩემი ციხე ურჯულოთ ვლეკ ეგოხრეს და ჩემი ყმანი დაიფანტნენ, რამთენიმე ქართლში და რამთენიმე კახეთში. დღეს, რადგან მოწყალის ხელმწიფის მოწყალება მოგვეკლინა და ველით მისის დიდებულებისაგან, რომ ჩვენი გაოხრებული მამული ისევ გაგვიშენდეს, ვითხოვთ წყალობას, ერთი ოქმი კახეთის კაპიტანს სპრავნიკზედ გვებრძოს და ერთი ოქმიც ქართლის კაპიტანს სპრავნიკზედ, რომ ჩვენი ყმანი აგვიყაროს და მოქმეცენ, თავ-თავის მამულზედ მოვიყვანოთ, დავაყენოთ, რომ ხარაბა სოფლები გაშენდეს“.

XIX საუკუნის 20-იანი წლებისათვის სურამის ციხე, რომ კვლავ მოქმედი ციხე-სიმაგრე იყო, ამაზე მიგვანიშნებს გიორგი ავალიშვილის თხზულებაში „მგზავრობაი“, - დაცული ცნობა, რომლის მიხედვითაც 1819 წელს იმერეთიდან მომავალი საქართველოს ეგზარხოსი, მიტროპოლიტი თეოფილიტე „...აღვიდა სურამისა ციხესა შინა“.

XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან, კერძოდ, 1829 წელს, ახალციხის მხარის შემოერთების შემდეგ სურამის ციხემ თანდათან დაკარგა თავისი მნიშვნელობა, რადგან მას გამოეცალა ის ფუნქცია, რისთვისაც იგი იყო აგებული ამ ადგილზე. მისგან საქართველოს საზღვრებმა შორს გადაიწია, ქვეყანაში მშვიდობიანობა დამყარდა და სურამის ციხე დარჩა საქართველოს წარსულის მხოლოდ ერთ-ერთ მოწმედ. დროთა განმავლობაში იგი ძლიერ დაზიანდა, ჩამოიშალა დასავლეთის კედლის ნაწილი, ჩაინგრა სახახლის გადახურვა, ძლიერი დეფორმაცია განიცადა ეკლესიის კედლებმა და კოშკის ზედა ნაწილმა.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

რა დასკვნა დადო სამხარაულის ექსპერტიზის ბიურომ სურამში მშენებარე სასტუმროზე, რომლის მეპატრონე არსებულ დავას შეეწირა

სურამში, ბაიანთხევში სასტუმრო „სურამი პალასის“ მშენებლობის გაგრძელების საკითხი დასკვნით ფაზაშია. პროექტის ხელმძღვანელის ჯულია ანტილოგოვას თქმით, უკვე ცნობილია სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნა, რომლის მიხედვითაც, ობიექტის ტერიტორია მეწყერსაშიშ ზონას არ მიეკუთვნება. შესაბამისად, როგორც პროექტის ხელმძღვანელი „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აცხადებს, ადგილობრივების ნაწილის საჩივარი ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

ცნობისთვის,„სურამი პალასის“ მშენებლობას ადგილობრივები იმ მოტივით აპროტესტებენ,რომ მათი ინფორმაციით,ინვესტორს იქ არსებულ ტერიტორიაზე ტყის გაჩეხვა სურს. ამასთან, მშენებლობის მოწინააღმდეგეები ამბობდნენ, რომ აღნიშნული ტერიტორია მეწყერსაშიში ზონაა და იქ მშენებლობის დაწყება არ შეიძლება.

2018 წლის 29 მაისს, სწორედ აღნიშული დაპირისპირება გახდა სასტუმროს ინვესტორის, ბიზნესმენი მამია ბითაძის მკვლელობის მიზეზი.

მაშინ არსებული ერთ-ერთი ვერსიით,მკვლელობა სანიაღვრე სისტემის გარშემო კონფლიქტს უკავშირდებოდა. სანიაღვრე სისტემის მოწყობა სასტუმროს მშენებლობის დაწყებამდე უნდა მომხდარიყო.

მოგვიანებით,სასტუმროს მშენებლობის უფლება მამია ბითაძის რძალს მიეცა. როგორც მაშინ ჯულია ანტილოგოვა „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აცხადებდა,მშენებლობა რამდენიმე დღეში უნდა დაწყებულიყო და 2019 წლის მარტში დასრულებულიყო. თუმცა, ადგილობრივების ნაწილმა საჩივრების წერა განაგრძო. როგორც ჯულია ანტილოგოვა აღნიშნავდა, იქიდან გამომდინარე, რომ ინვესტორს ყველაფერი კანონის ფარგლებში აქვს გაკეთებული და ამასთან, ხეების გაჩეხვა არ იგეგმება, ადგილობრივების პროტესტი ყოველგვარ ლოგიკას მოკლებულია.

მისივე ინფორმაციით, სინამდვილეში საჩივრების ავტორი მოსახლეობის ის ნაწილია, ვისაც საოჯახო ტიპის სასტუმროები აქვს. ჯულია ანტილოგოვას თქმით, ისინი შიშობენ, რომ ახალი სასტუმრო დამსვენებლების რიცხვს შეუმცირებს, რაც ინვესტორის თქმით, გამორიცხულია, რადგან მათი სეგმენტი განსხვავებულია.

როგორც ჯულია ანტილოგოვა „ბიზნესპრესნიუსთან“ განმარატავს, იმის გამო, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში, სასამართლო განხილვები, მოსამართლის მხრიდან გაკვეული დარღვევებით მიმდინარეობდა,

ამჟამად დღის წესრიგში სწორედ მისი აცილების საკითხია. ამის შემდეგ კი, სასტუმროს მშენებლობის ბედიც გადაწყდება.

„სწორედ ახლახანს, 29-ში გვქონდა სასამართლო და პროცესი იმ დონეზეა მისული, რომ დღის წესრიგში საქმის განმხილველი მოსამართლის აცილების საკითხს დავაყენებთ. შემდეგი სხდომა ამ დღეებშია ჩანიშნული. ამის მიზეზია ის, რომ მოსამართლე ძალიან ბევრი დარღვევით აწარმოებდა განხილვებს.

რაც შეეხება ექსპერტიზის პასუხებს, დასკვნა ჩვენ სასარგებლოდ დაიდო. ანუ, სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს სამივე პასუხში წერია, რომ ეს ადგილი არ არის მეწყერსაშიში, როგორც მას საჩივარში წერდნენ. ვნახოთ, რა იქნება, წესით, საკითხი ჩვენს სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს,

რადგან საჩივრის შინაარსს აბსოლუტურად აბათილებს ექსპერტიზის პასუხები. თუ მოსამართლის აცილება არ მოხდა, ისევ მასთან მოგვიწევს საკითხის განხილვა, თუმცა წესით, მაინც იმავე დღეს უნდა დაასრულოს საქმე, რადგან ფაქტობრივად, განსახილველი აღარაფერია“,-ამბობს ჯულია ანტილოგოვა.

ცნობისათვის, 906 კვადრატული მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთი, რომელზეც მამია ბითაძე 5-ვარსკვლავიანი სასტუმროს მშენებლობას გეგმავდა, მან 2018 წლის ნოემბერში სახელმწიფო ქონების სააგენტოს მიერ გამართულ აუქციონზე 275 000 ლარად შეიძინა. ინვესტორის ინფორმაციით, სასტუმრო 4 სართულიანი იქნება, სადაც 36 ნომერი განთავსდება. აქედან 26 სტანდარტული, ხოლო 8 VP ნომერი იქნება. რაც შეეხება პროექტის საინვესტიციო ღირებულებას, 2 მილიონი დოლარია.

—ხელოვნება—

ულამაზესი საღამო სურამში

სურამი, ზინდისის ტყე-პარკი, სასტუმრო “სურამი”... ეს იყო ლოკაციის ადგილი ხელოვნების მოყვარულთათვის, რომლებიც 5 ივლისს შეიკრიბენ და საუცხოო სანახაობა იხილეს.

მარიამ ობოლაძე სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის სტუდენტია-იშვიათი ხმის ტემბრის მქონე საოპერო ჟანრის მომღერალი. მისი სახელი არცთუ დიდი ხანია, რაც ქართული ხელოვნების “რუკაზე” გამოჩნდა, მაგრამ უკვე მოიპოვა აღიარება და ამის დასტური მისი ზემოაღნიშნული პირველი სოლო-კონცერტიცაა, რომელმაც მრავალი მაყურებელი მოიზიდა.

აღფრთოვანებული მსმენელი, პროფესიონალთა დადებითი შეფასებები და მთავარი გმირის ბედნიერი სახე, ეს იმ დაუვიწყარი საღამოს ძირითადი “შტრიხები” იყო. ვულოცავთ, მარიამს ამ წარმატებას და იმედია, მომავალში, მისი წინსვლის შესახებ არაერთხელ ვაუწყებთ ჩვენს მკითხველს.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.